

გურამ ტყემალაძე

ზოგი ქართული და უცხო ტერმინის დაწერილობის, წარმოთქმისა და სემანტიკური შესაბამისობის შესახებ¹

ქართველები ჩვენი კლასიკოსი მწერლების, პოეტებისა და ენათმეცნიერების მიერ საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს პატივს უნდა ვცემდეთ და ვითვალისწინებდეთ წერასა და მეტყველებაში, მაგრამ ცხოვრებისეული მოთხოვნებიდან და შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ზოგჯერ საჭირო ხდება გარკვეული კორექტივების შეტანა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით დაშვებული (ან გაპარული) შეცდომების აღმოფხვრა, ენის გათავისუფლება მიუღებელი კალკებისაგან და მისი დაცვა მოსალოდნელი „წახდენისაგან“ (გრიგოლ ორბელიანი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტამარსა წმიდას“. ამ ბრძნულ სიტყვებს ხშირად იმეორებდა ილია). სიტყვის სიძველე და გავრცელებულობა არ უნდა იყოს ერთადერთი საბუთი მისი უტყუარობისა, თუმცა დასაბუთებული ძველიც მისაღებია და ახალიც. შეცდომა ადრეც მოსდიოდათ და ახლაც მოსდით.

„...ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გონება, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველივენი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი როგორც მიუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენი გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი... ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელელებზედ ჭკვიანები ვართ. „სხვა სხვისა ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი... არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს აგრე თავმოწონებით დავსცინით (ჭავჭავაძე, 1941: 39).

¹ ქვეყნდება საკითხის დასმის წესით (რედ.)

ვფიქრობთ, ნებისმიერი კომპრომისი ენობრივ შეცდომებსა და ხარვეზებთან ყოვლად დაუშვებელია. ქართული ენა ჩვენი ცხოვრების, სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია, სულიერი საზრდო და საკუთარი სახის მაჩვენებელია. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა თითოეული ქართველის უპირველესი, სიცოცხლისეული მოვალეობაა. დღეს ქართულ ენას მეტი მოვლა-პატრონობა, მზრუნველობა და სიყვარული, ღოლიაობა და დაცვა სჭირდება, მეტ გაფრთხილებასა და ყურადღებას მოითხოვს თითოეული სიტყვა, ფრაზა (გამოთქმა, იდიომა) თუ წინადადება. ყველა ქართველის ვალაია ენის განვითარებისათვის დაუღალავი შრომა, შეურიგებელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ენის გაუბრალოებას, დამახინჯებას, მიუღებელი სიტყვებით „გამდიდრებას“, რაც სინამდვილეში ენას აკნინებს და აღარიბებს. ქართველის ვალაია დაწერილობასა და ზეპირმეტყველებაში ჯერ კიდევ არსებული (შემორჩენილი) შეცდომების გასწორება. ეჭვი არ გვეპარება, ნებისმიერი გულანთებული ქართველი ძალასა და ღონეს არ დაიშურებს და საკმაოდ დროსაც გამონახავს ამ კეთილშობილური მიზნის განსახორციელებლად.

ენის განვითარების ისტორიული სინამდვილის ობიექტური ასახვა ეთიკურ კატეგორიათა რიგს განეკუთვნება და აქ ყოველგვარი სიმპათია-ანტიპათიები, თუნდაც ზნეობრივი კომპრომისები, დაუშვებელია. ჭეშმარიტება ღვთით ბოძებული ის განძია, რომელიც არც დაკლებასა და არც დამატებას არ საჭიროებს; ჭეშმარიტება ის უკვდავი, მარადიული ხეა, რომლის არათუ წაქცევას, არამედ ტოტების უბრალო შესხეპასაც ვერავინ უნდა ბედავდეს. სწორედ ამ სულისკვეთებითა და პათოსით დაიწერა ეს წერილი, რომელსაც, ვიმედოვნებთ, გაგებით მიიღებენ დარგის სპეციალისტები და წიგნიერი საზოგადოება.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში უცხოურ სიტყვათა საოცარი მოძალების შესახებ მართებულად ბრძანებს ავთანდილ არაბული: „უახლეს ეპოქაში შესამჩნევია ყურადღების მოდუნება ენის ლექსიკური სიწმინდისა და „დამოუკიდებლობის“ მიმართ, რამაც, ენობრივი და კულტურული ურთიერთობების განვითარების შესაბამისად, შესამჩნევად დააჩნია უკვე კვალი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ შედგენილობას. მეტიც შეიძლება ითქვას, ის რუსულენოვანი ბარბარიზმები, რომელთა „გაპარება“ ცოტა ხნის წინ ნებისმიერი ლიტერატორისა და ჟურნალისტისათვის საკმაოდ სათაკილო პრეცედენტად ითვლებოდა, დღეს, თანამედროვე ეპოქაში, უფრო „გაბედულად“

იკავებს ადგილს“. ავტორს მოაქვს¹, მაგ., ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: ბრეში, შრამი, ლგოტი და მრავალი სხვ. (არაბული, 2004: 15).

დღეს რა ხდება – ქართულ ენასა და ლიტერატურაში, აგრეთვე ზეპირსიტყვიერებაში განუსაზღვრელი რაოდენობით მკვიდრდება ისეთი არასპეციფიკური და ყოფითი ხასიათის, არაფრით გამართლებული ინგლისური სიტყვები: ნიუსი, ბონუსი, კეისი, ივენთი, ესენციური, სენსიტიური, რანდომული, რელევანტური, სუიციდი, შოპინგი, აპლიკანტი, დეველოპერული, გადმოპორტირდი და მრავალი სხვ. მეტიც, სიმღერებშიც კი ვხვდებით რითმის გამართვისა და, ალბათ, „განათლებულობის“ გამო სიტყვებს – ექსპრომტი, ჯეკპონტი.

გვინდა წარმოვადგინოთ ტერმინები, რომლებიც, ჩვენი აზრით, არასწორადაა დამკვიდრებული.

ტერმინი **კვება** და შესაბამისი სინტაგმები: **კვების პროდუქტები**, **კვების პროდუქტების ტექნოლოგია**, **კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი**, **კვების მრეწველობის სამინისტრო** და სხვ. არასწორი შესიტყვებებია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ქეგლი) მიხედვით: „**კვება** სახელი კ ვ ე ბ ა ვ ს, იკვებება“. **კვება**ვს გრდმ. 1. საზრდოს, საჭმელს აძლევს, აჭმევს. გამოდის, რომ კვების პროდუქტი არის ის, რაც საზრდოს, საჭმლის მიღების შედეგად წარმოიქმნება, ე.ი. ფეკალური მასა, წყალი და ნახშირორჟანგი. ბიოქიმიურად კვება არის ორგანიზმის მიერ საკვებში არსებული ნივთიერებების, ძირითადად, ცილების, ნახშირწყლებისა და ცხიმების სრული ან ნაწილობრივი წვა, ანუ ბიოლოგიური ჟანგვა, რომლის საბოლოო პროდუქტებს წარმოადგენს ნახშირორჟანგი, წყალი, შარდოვანა, შარდის მჟავა და მოუნელებელი მასა ფეკალიების სახით. ვფიქრობთ, **კვების პროდუქტები**, **კვების მრეწველობა** და მისთ. რუსულის (Пищевые продукты, Пищевая промышленность) კალკია, ერთ დროს დაუფიქრებლად, გაუაზრებლად შემოტანილი და დამკვიდრებული. რუსულად იქნებ მისაღებიც იყოს, მაგრამ ქართულად – არავითარ შემთხვევაში. რუსებმა სწორ, მაგრამ გრძელ სახელწოდებას – Министерство промышленности пищевых продуктов ამჯობინეს შედარებით მოკლე და მათთვის მისაღები და შესაძლო სწორი გამოთქმა – Министерство пищевой промышленности, თუმცა Министерство пищевой промыш-

¹ ავტორი მცდარად მიიჩნევს შესიტყვებას „მაგალითი მოჰყავს“, მისი აზრით, უფრო სწორია „მაგალითი მოაქვს“, შესაბამისად აქაც მისთვის უფრო მისაღებია „ავტორს მოაქვს“ (რედ.).

ленности რუსულად არ ითარგმნება ისე, როგორც ქართულად. რუსული ვარიანტით იგულისხმება, რომ აღნიშნული სამინისტრო განაგებს საკვების (Пища), ანუ საკვები პროდუქტების წარმოებას. რუსულად – Пища то что едят, чем питаются. ინგლისურად შესაბამის სინტაგმებს აქვს სახე: Food products, Food biochemistry and food processing, Advances in food biochemistry. ინგლისურშიც: Food – საჭმელი, საკვები, საზრდო, სურსათი, სურსათ–სანოვაგე. Feed – კვება, ჭმევა. ამგვარად, ქართულ ენაზე სწორი ფორმებია: **საკვები პროდუქტები, საკვები პროდუქტების ტექნოლოგია, საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი, საკვები პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო** და სხვ. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ქეგლი: **სურსათი** (თურქ.) საჭმლის, საკვების ერთობლიობა – საზრდო, სანოვაგე. რუსულად სურსათი (Продовольствие). რუსებს აქვთ – Биохимия кормления, Биохимия питания. ქართულად **კვების ბიოქიმია** არასწორია, უნდა იყოს **საკვები პროდუქტების ბიოქიმია**, ანუ საკვები პროდუქტების წარმოებისა და ტექნოლოგიური პროცესების ბიოქიმია (მაგ., რძისა და რძის პროდუქტების ბიოქიმია). ღვინის ბიოქიმია – ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების ბიოქიმია, ანუ ბიოქიმია, რომელიც შეისწავლის იმ რეაქციებსა და მექანიზმებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ღვინის წარმოებას. გვაქვს ჩაის ბიოქიმია, რომელიც შეისწავლის ჩაის მცენარის ბიოქიმიას. ჩაის წარმოების ბიოქიმია – შეისწავლის ჩაის (როგორც მზა პროდუქტის) წარმოების ბიოქიურ საფუძვლებს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანისა და ცხოველის კვებაში საკვებსა და სურსათს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. საკვებს ვამზობთ ცხოველთა, ხოლო სურსათს – ადამიანის შემთხვევაში. მაგ., ცხოველთა საკვები ბაზა, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა. ადამიანის საკვები გულისხმობს სურსათს. **Питание**. 1. см. Питать. 2. Пища, характер и качество пищи; Питать обеспечивать кого-н. пищей (ოქეგოვი, შვედოვა, 2004), ხოლო **Пища** ქართულად ნიშნავს საჭმელს, საკვებს, საზრდოს. რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით, **Пищевой** – საჭმლისა, საკვებისა, სასურსათო; საკვები, კვებისა. როგორც ვხედავთ, რუსები „საკვებში“ გულისხმობენ როგორც საკუთრივ საკვებს, ისე კვებას. ამიტომ მათი **Пищевые продукты** და **Министерство пищевой промышленности** სწორია.

გვინდა ასევე შევეხოთ ზოგიერთი უცხო ტერმინის ქართულ დაწერილობას. კერძოდ, საუბარია **ასოცირება – ასოცირების, ასოცი-**

რებული – ასოცირებულის, ინიცირება – ინიცირებისა და ინიცირებული – ინიცირებულის დაწერილობაზე.

ქეგლ-ის რვატომეულსა (1950-1964) და ერთტომეულში (1986) ამ სიტყვებიდან შეტანილია მხოლოდ ასოციაცია. ახალ **ქეგლ**-ში (2008) კი: ასოციაცია, ასოციაციური, **ასოცირდება** და **ასოცირებული**. აქ საინტერესო ისაა, რომ 2002 წელს გამოცემულ **ჟურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში** ჩნდება: **ასოცირება: ასოცირებული** (წევრი) [**და არა ასოცირება, ასოცირებული**]. **ინიცირება: ინიცირებული**.

2009 წელს გამოცემულ **ჟურნალისტის** ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში ისევ არის: **ასოცირება: ასოცირებული** [**და არა ასოცირება, ასოცირებული**]. მაგრამ აღარ არის **ინიცირება**. 2011 წელს დასტამბულ იმავე ლექსიკონის მე-2 ტომში კვლავ არის: **ასოციაცია – ასოცირება** და არ არის **ინიცირება**.

ვფიქრობთ, ამგვარი შეუსაბამობა ერთი და იმავე ტერმინთა დაწერილობაში არამართებულია, მით უმეტეს, რომ ისინი ერთი ინსტიტუტის მიერაა გამოცემული. კერძოდ, 2008 წლამდე (2002) და შემდეგ (2009, 2011) სწორ ფორმად იყო მიჩნეული **ასოცირება, ასოცირებული**, ხოლო 2008 წელს, ანუ უახლეს (ახალი რედაქციით გამოცემულ) **ქეგლ**-ში – **ასოცირება** და **ასოცირებული**.

რაც შეეხება ზოგიერთ მათემატიკურ ტერმინსა და სინტაგმას, მათ არასწორად ხმარებასა და განმარტებას, უპირველესად, **ციფრებს, დასკვნის გამოყვანას, აგრეთვე ფორმულის, მაგალითის, ამოცანისა და განტოლების გამოყვანას**.

ქეგლის მიხედვით: **ციფრი** [არაბულ.] 1. რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანი. 2. მრ. ც ი ფ რ ე ბ ი – რიცხვებით გამოხატული რისამე მაჩვენებელი, გაანგარიშება, გამოთვლა. *საკონტროლო ციფრი*. ციფრის აღნიშნული განმარტება ზუსტად ჰგავს რუსულ განმარტებას: **Цифра** 1. Знак, обозначающий число. 2. мн. Показатель, расчет чего-н., выраженный в числах. Контрольные цифры. ციფრის ასეთივე განმარტებაა მეორე რუსულ ლექსიკონშიც (ოჟეგოვი, შვედოვა, 2004).

მათემატიკაში ციფრებია 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 0. უნდა აღინიშნოს, რომ ნულს *ციფრას* უწოდებდნენ. თვით ეს ნიშნები რიცხვებია და ამ ნიშნებით, ანუ ციფრებით და მათი კომბინაციებით გამოისახება, მაგ., მანძილი, ფართობი, მოცულობა, რაიმეს რაოდენობა და ზომები. სამწუხაროდ, ნებისმიერ რადიო-ტელევიზიაში, ჟურნალ-გაზეთში, ოფიციალურ თუ კერძო საუბარში, როგორც წესი, რიცხვების ნაცვლად იხმარება ციფრები. **ქეგლის** თანახმად:

რიცხვი 1. რაოდენობის გამომხატველი ცნება, სიდიდე, რომლის საშუალებითაც თვლიან, ანგარიშობენ. 2. რაოდენობა; ერთობლიობა, ჯგუფი (ზუსტად იგივე განმარტებაა, რაც ოქეგოვის რუსულ ლექსიკონებში).

შევნიშნავთ, რომ ხშირად **რიცხოზრივის** ნაცვლად არასწორად წერენ **რიცხოზრივს**. მათემატიკოსები **ციფრებს** განმარტავენ, როგორც რიცხვების გამომხატველ პირობით ნიშნებს. რუსები რიცხვით გამოსახულ ოდენობას, მაგ., შემოსავლის რაოდენობას, **ციფრებს** უწოდებენ.

წარმოვადგენთ ერთი მათემატიკური ტერმინის, **ახარისხების** არასწორ ქართულ განმარტებასაც. ყველა **ქეგლი** ახარისხებას ერთნაირად განმარტავს: **ახარისხება** თავის თავზე გამრავლება, **ხარისხში აყვანა** (აქ და ყველგან გამოქება ჩვენია, გ.ტ.). **ახარისხებულ** თავის თავზე გამრავლებული, **ხარისხში აყვანილი**. **ხარისხი** Φ ხარისხში აყვანა.

იმავე განმარტებას შევხვდებით სპეციალურ მათემატიკურ ლექსიკონებშიც. აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის რედაქციით გამოცემულ „რუსულ-ქართულ მათემატიკურ ლექსიკონში“ გვაქვს: **Возведение в степень** – ახარისხება, **ხარისხში აყვანა** (მათემატიკური ლექსიკონი, 2010). ნოდარ მახვილამის ლექსიკონსა და ენციკლოპედიკშიც ზუსტად ასევეა განმარტებული.. (მახვილაძე, 2008; მახვილაძე, 2012). **ახარისხების ოპერაციას ხარისხში აყვანის ოპერაციას** უწოდებენ „მათემატიკურ ცნობარში“ (ცნობარი, 2009). **ხარისხში აყვანა** მომდინარეობს რუსულიდან **Возведение в степень**. რუსულად **Возведение** აყვანა. **Возведение в степень** ახარისხება, **ხარისხში აყვანა** (ლექსიკონი, 1983).

ვფიქრობთ, **ახარისხება**, ამ პროცესის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა განიმარტოს, როგორც **რიცხვის ხარისხში აღება**. მით უფრო, რომ სიტყვა **აღება** ფრიად გავრცელებული სიტყვაა მათემატიკაში. მაგალითად, **ავიღოთ ტოლობის ორივე მხარის წარმოებული ლოგარითმი**. გარდა ამისა, ბევრი მათემატიკური თეორემის დამტკიცება იწყება ასე: **ავიღოთ ნებისმიერად მცირე დადებითი ε რიცხვი**. მეორე მხრივ, **ახარისხების** საპირისპირო ოპერაციას – **ამოფესვას**, სავსებით მართებულად ეწოდება **ფესვის ამოღება**. ფესვი ასე განიმარტება: სიდიდე, რომელიც მისი ამა თუ იმ **ხარისხში აყვანის** დროს იძლევა ახალ რიცხვს. Φ **ფესვის ამოღება** – მოძებნა რიცხვისა, რომელიც, ფესვის მაჩვენებლის **ხარისხში აყვანილი**, მოგვცემს ფესვქვეშა გამოსახულებას (განმარტება მოცემულია 1986 წლის ქეგლიდან. ხაზგასმა ჩვე-

ნია, გ. ტ.). თუ სწორია *რიცხვის ხარისხში აყვანა*, მაშინ იქნებ ფესვიდან ამოღებაც შეეცვალოთ *ფესვიდან ამოყვანით*?

ახარისხებისა და *ამოფესვის* ოპერაციები, თუმცა საპირისპირო ხასიათისაა, ისინი ერთმანეთის საშუალებით გამოისახება. ამიტომ, თუ *ფესვის ამოღება* მისაღებია (და ეს მართლაც ასეა), მაშინ ანალოგიით უნდა იყოს *რიცხვის ხარისხში აღება* და არა *ხარისხში აყვანა*. მით უმეტეს, რომ სიტყვები *ამოღება* და *აღება* ერთი ფუძისაგან (ღება) იწარმოება.

ახლა *დასკვნის გამოყვანის*, აგრეთვე *ამოცანის*, *მაგალითის*, *განტოლებისა* და *ფორმულის გამოყვანის* შესახებ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები (1986, 2010) სწორ ფორმად მიიჩნევენ აღნიშნულ სინტაგმებში *გამოყვანის* არსებობას. ორთოგრაფიული ლექსიკონი პირდაპირ წერს: *დასკვნა გამოჰყავს, დასკვნის გამოყვანა*.

ვფიქრობთ, მართებული ფორმაა *დასკვნის გამოტანა (დასკვნა გამოაქვს)*. თუ *მაგალითის (ციტატის, ამონარიდის...)* *მოყვანას* ბევრი ადრეც ხმარობდა და ახლაც იყენებს, სრულიად მიუღებელი და არაბუნებრივია, რომ კითხვაზე – „რა დასკვნის *გამოტანა* (ანუ *დასკვნის გაკეთება*) შეიძლება ამა თუ იმ პიროვნების ლაპარაკიდან, ამა თუ იმ მოთხრობის შინაარსიდან“ და ა. შ. სიტყვა *გამოტანა* შეიცვალოს სიტყვით *გამოყვანა*. წაკითხულიდან, ნაამბობიდან, მსჯელობიდან და მისთ. ხდება *დასკვნის გამოტანა*, ანუ *დასკვნის გაკეთება*.

ვფიქრობთ, რა სახის წიაღსვლებსაც უნდა მივმართოთ და განმარტება მოვუძებნოთ *გამოყვანას* დასკვნის მნიშვნელობით, ვერავინ შეეგუება ამ შესიტყვებას. ზოგმა შეიძლება თქვას, *დასკვნის გამოყვანას* იყენებდნენ დიდი ილია, აკაკი და მრავალი სხვა, მაგრამ ილია და აკაკი იყენებდნენ ბევრ ისეთ სიტყვასა და გამოთქმას, რომლებიც დღეს, სავსებით სამართლიანად, უარყოფილია. ამიტომ დასკვნის გამოყვანა დღესდღეობით ყურსაც ცუდად ხვდება და თვალსაც; აზრობრივად და აღსაქმელადაც ძნელად გვეჩვენება. სხვათა შორის, სულხან-საბა თავის არც ერთ ნაწარმოებში არ ხმარობს არც *დასკვნის გამოყვანას*, არც *დასკვნის გამოტანას*, უბრალოდ ამბობს: დაასკვნეს, დაესკვნათ და მისთ. დასკვნის *გამოყვანა*, ვიმეორებთ, რუსულის კალკია და თუ ის სწორია, მაშინ სწორი უნდა იყოს აზრის *გამოყვანაც* და *განაჩენის გამოყვანაც*. და თუ სწორი აღმოჩნდება აზრისა და განაჩენის გამოტანა, ცხადია, სწორი უნდა იყოს *დასკვნის გამოტანაც*. დავიმოწმებთ არგუმენტებს ქეგლიდან (1986):

დასკვნა 1. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე ახალი მსჯელობა; მსჯელობის შედეგად მიღებული მოკლედ ჩამოყალიბებული საბოლოო აზრი, შეფასება. 2. საბოლოო გადაწყვეტილება, აზრი, შეფასება. ე.ი. დასკვნა იგივე აზრია (ოღონდ მოკლედ ჩამოყალიბებული საბოლოო აზრი). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში კი ასეთი მაგალითიც არის მოტანილი: „...რა პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ მოძღვრებიდან?“ (*სტალინი*). მაგრამ ამავე ლექსიკონში: **დასკვნის** დასკვნას (დასკვნებს) გამოიყვანს, დასკვნას გააკეთებს... ვფიქრობთ, ესეც გარკვეული შეუსაბამობაა.

ახლა ვნახოთ როგორ განიმარტება აზრი: **აზრი 2.** იგივეა, რაც **ფიქრი**, 3. **შეხედულება**, **გაგება**. 4. **ლოგიკური შინაარსი**. **აზრად** აქვს და ა. შ.

რვატომეულში გვაქვს: **აზრს აიღებს** მიხვდება, მიაკვლევს, იფიქრებს. დღეს ნაკლებად თუ იტყვის ვინმე **აზრს აიღებს**. გასაგებია გეზის აღება, სისხლის აღება, სუნის აღება და ა. შ. მაგრამ ასეც რომ იყოს – **აზრის აღება**, ისევე როგორც **აზრი აქვს**, ირიბად განა ჩვენს მსჯელობას არ ეთანხმება? განა რისი აღებაც ხდება – მისი მოტანა არ უნდა ხდებოდეს?

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე: **დასკვნა** თუ იგივე **აზრია**, **შეფასება**, **გადაწყვეტილება** და **დასკვნის გამოყვანა** სწორი ფორმაა, მაშინ სწორი იქნება აზრის გამოყვანაც, შეფასების გამოყვანაც და გადაწყვეტილების გამოყვანაც. შესაბამისად, სწორი ფორმებია: **აზრის გამოტანა**, **შეფასების მიცემა**, **გადაწყვეტილების მიღება**, ე. ი. არსად არ ფიგურირებს **გამოყვანა**.

ქართული ენის განმარტებითი და სპეციალური მათემატიკური ლექსიკონები სწორ ფორმად მიიჩნევენ **მაგალითის**, **ამოცანის**, **განტოლების გამოყვანას**.

მათემატიკოსებიც ხშირად სწორი სინტაგმების (**მაგალითის**, **ამოცანის**, **განტოლების ამოხსნა**) პარალელურად ამბობენ: **მაგალითის**, **ამოცანის**, **განტოლების გამოყვანასაც**, რაც, ჩვენი აზრით, არამართებულია.

რაც შეეხება კონკრეტულად **ფორმულის გამოყვანას**. ვფიქრობთ, ამ შესიტყვებას სჯობს **ფორმულის დადგენა**. **ფორმულა** (მათემატიკური, ფიზიკური თუ ქიმიური) გარკვეულ საკვლევ სიდიდეებს შორის ზუსტი ურთიერთდამოკიდებულებისა და კანონზომიერების შესწავლის საფუძველზე დგინდება და ფორმულირდება. **ქეგლის** მიხედ-

ვით: **ფორმულა 1.** მოკლე და ზუსტი სიტყვიერი გამოხატვა, განსაზღვრება რისამე. 2. მათემატიკურ სიდიდეთა წყება, რომელიც გამოხატულია პირობითი ნიშნებით, **ალგებრული ფორმულა**. ფორმულის ქართული განმარტება ზუსტად იმეორებს რუსულ ლექსიკონებში მოცემულ განმარტებას.

Формула 1. Краткое и точное словесное выражение, определение.

2. Ряд математических величин выраженный условными знаками.

Алгебраическая формула (ოქეგოვი, 1960).

ინგლისური ლექსიკონის მიხედვით: **deduce** to arrive at facts, a theory, ets. by reasoning; to infer (1): მიხვიდე რამე ფაქტამდე, თეორიამდე და ა.შ. მსჯელობით (ლექსიკონი, 1998-1999)

Infer 1. To reach an opinion based on available information or evidence; to arrive at a conclusion მიაღწიო აზრს, რომელიც ეფუძნება ხელმისაწვდომ ინფორმაციას ან მტკიცებულებას. დასკვნამდე მისვლა (დასკვნის გაკეთება).

Formula 1. (mathematics or physics) a rule, principle or law expressed by means of letters and symbols. წესი, პრინციპი ან კანონი, რომელიც გამოისახება ასოებითა და სიმბოლოებით.

როგორც ვხედავთ, ინგლისურ განმარტებებში არსად არ გვხვდება **გამოყვანა (Выведение)**, თუმცა, ახმანოვას რუსულ-ინგლისურ და ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში (1961 ნიუ-იორკი), როგორც მოსალოდნელი იყო, **Infer** განმარტებულია, როგორც **დასკვნის გამოყვანა (выводить заключение)**, ხოლო **deduce**, როგორც **выводить заключение, делать заключение**. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ინგლისურად **deduce a formula** ითარგმნება არა როგორც ფორმულის გამოყვანა, არამედ როგორც **ფორმულის დადგენა**, რადგან **deduce** ნიშნავს დასკვნის გაკეთებას, წარმოშობის დადგენას. გარდა ამისა, **ფორმულა** ლათინური სიტყვაა და ნიშნავს **წესს, ნორმას, ფორმას, ნიმუშს**. თვით ფორმულის ალტერნატიული სახელწოდებები მიუთითებს, რომ **ფორმულის – წესის (ნორმის) დადგენა** უფრო მართებულია, ვიდრე **წესის (ნორმის) გამოყვანა**. მაგ.: **გრამატიკული წესები, ქცევის წესები, მოძრაობის წესები**, რომელთა დადგენა, შემუშავება ხდება და არა გამოყვანა.

საყურადღებოა კიდევ ერთი მათემატიკური სინტაგმა. რუსულად **теория надёжности**, ინგლისურად – **reliability theory**. ქართული შესატყვისები შეიძლება იყოს: **სანდოობის, საიმედოობის, სარწმუნო-**

ბის ან უტყუარობის თეორია. რომელია აქედან უფრო მისაღები, ენათმეცნიერებისა და მათემატიკოსების გადასაწყვეტია. ჩვენ ვერ ვნახეთ მათემატიკურ ცნობარებსა და ენციკლოპედიებში აღნიშნული სინტაგმის ქართული შესატყვისი.

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში (**ქეგლში**) არ არის **სანდოობა** და არც **სარწმუნოობა**. არის მხოლოდ **საიმედოობა** და **უტყუარობა**.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის 2009 წლის გამოცემაში არის მხოლოდ **საიმედოობა**, ხოლო იმავე ლექსიკონის 2011 წლის გამოცემაში – არც ერთი. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში არის: **საიმედოობა** – **надежность** და **უტყუარობა** – **достоверность**. რუსებს აქვთ: **доверительный интервал** – **ნდობის ინტერვალი** და **доверительная вероятность** – **ნდობის ალბათობა** (ტექნიკური ტერმინოლოგია, 1982).

შევხებით ასევე ზოგიერთ ქართულ აბრევიატურასა და მათ წარმოთქმას. რუსული ენის გავლენით არასწორად იკითხება ისეთი ცნობილი ტერმინების აბრევიატურები, როგორებიცაა: **ატფ** (**ა-ტე-ეფ-ი**), **დნმ** (**დე-ენ-ემ-ი**), **რნმ** (**ერ-ენ-ემ-ი**). თვით რუსები იმავე ინგლისურ აბრევიატურებს – **ATP** (**ეი-თი-ფი**), **DNA** (**დი-ენ-ეი**), **RNA** (**ერ-ენ-ეი**) რუსული ასოებით **АТФ**, **ДНК**, **РНК** ცვლიან, და, შესაბამისად, რუსული ასოების სახელწოდებების მიხედვით წარმოთქვამენ: **ა-ტე-ეფ-ი**; **დე-ენ-კა**; **ერ-ენ-კა**. მსგავს ტერმინთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ისეთი უმნიშვნელოვანესი ბიომოლეკულები, როგორებიცაა: **ნად-ი** (ნიკოტინამიდადენინდინუკლეოტიდი), **ფად-ი** (ფლავინადენინდინუკლეოტიდი) და სხვა მნიშვნელოვანი ბიოლოგიური თუ არაბიოლოგიური მნიშვნელობის ტერმინი.

ვფიქრობთ, ამ კუთხით უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ ენათმეცნიერები და დარგის სპეციალისტები. ინგლისელებისა და რუსების მსგავსად, ამგვარი აბრევიატურები მათი ასოების სახელწოდებების მიხედვით, გვექნება: **რნმ-ი** რაე-ნარ-მან-ი; **ატფ-ი** ან-ტარ-ფარ-ი, **დნმ-ი** დონ-ნარ-მან-ი. მეორე შესაძლებლობაა, წარმოთქმა იყოს ასოთა სახელწოდებების პირველი ასოების მიხედვით: **ა-ტ-ფ-ი**; **დ-ნ-მ-ი**; **რ-ნ-მ-ი**.

საგანგებოდ გვინდა განვიხილოთ ისეთი სპეციალური ტერმინების დაწერილობა, რომლებიც დედანში ორმაგი თანხმოვნით არის გაფორმებული. ქართული ენის ნორმები ერიდება ორი ერთნაირი

თანხმოვნის თავმოყრას უცხოური ენიდან ნასესხებ ტერმინებში, მაგ., პროფესორი და არა პროფესორი, ასოციაცია და არა ასსოციაცია. ასევე: მასა (2ს), ბარელი (2რ), მეტალი (2ლ) და მრავალი სხვ. ეს სიტყვები ორიგინალში: ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ თუ რუსულ ენებში იწერება ორმაგი თანხმოვნით. ასეთ სიტყვებში ერთი თანხმოვნის უგულებელყოფა არ ქმნის უხერხულობას – არ გააჩნია ალტერნატიული მნიშვნელობა. მაგრამ არის ისეთი სიტყვა-ტერმინები, რომლებშიც აუცილებელია მეორე თანხმოვნის შენარჩუნება მათი მნიშვნელობების გასამიჯნავად. მაგალითად: **რენნინი** და **რენინი**, **ფილლო** და **ფილო**. საქმე ისაა, რომ **რენნინი** და **რენინი** ორი სხვადასხვა ცილა – ფერმენტი, განსხვავებული ფუნქციით. ერთია პროტეოლიზური ფერმენტი – რენინი, ხოლო მეორე – რენნინი, ანუ ქიმოზინი – რძის შემადგენელი ფერმენტი.

ფილლო ბერძნული წარმოშობისაა (φύλλον), ნიშნავს **ფოთოლს** და ისევე, როგორც ინგლისურად (**phyllo**) და რუსულად (**филло**), იწერება, შესაბამისად, ორი **ლას**-ით. რაც შეეხება **ფილოს**, ისიც ბერძნული წარმოშობისაა, ნიშნავს **მიყვარს** და, შესაბამისად, ბერძნულ (**φίλεω**), ინგლისურ (**philo**) და რუსულ (**филос**) ენებზე იწერება ერთი **ლას**-ით.

ასე მაგალითად, **ფილოლოქინონი** იგივეა, რაც ვიტამინი K₁ (მონაწილეობს სისხლის შედედებაში), ხოლო **ფილოგენეზი** – ორგანიზმის ან მონათესავე ორგანიზმთა ჯგუფის ევოლუციური განვითარების ისტორიული პროცესია.

ერთი **ლას**-ით იწერება **ჰემოფილია** (სისხლის მემკვიდრეობითი დაავადება), **ჰელიოფილები** (მზის მოყვარული ორგანიზმები), **ბაზოფილები** (მჟავა თვისებების უჯრედები), **ფილოგენეტიკა** (გენეტიკის ნაწილი – შეისწავლის ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციას) და სხვ.

ორი **ლას**-ით იწერება: **ფილოლოფლორა** (წითელ წყალმცენარეთა გვარი), **ფილოტაქსისი** (ტოტებზე ფოთლების განლაგების წესი), **ფილოლქსერა** (მავნებელი მწერი) და სხვ.

ორი **მან**-ით უნდა დაიწეროს **მანნანები**-შაქრები, **მანნოზის** პოლისაქარიდი. ორიგინალში ორი **მან**-ია (მომდინარეობს ძვ. ებრაულიდან **მანნა** – ბიბლიური ციდან ჩამოცვენილი საკვები). თვით **მანნოზა**, რადგან ალტერნატივა არ გააჩნია, შეიძლება ერთი **მან**-ით დაიწეროს. **მანოზა** გლუკოზის იზომერია.

ქართული ენის ნორმები არ ცნობს უცხო ავტორთა გვარ-სახელეზმშიც ორი ერთნაირი თანხმონის ერთად დგომასაც, მაგალითად: **ვატი – Watt, გაუსი – Gauss, გიბსი – Gibbs** და მრავალი სხვ.

შევეხებით ასევე ზოგიერთ უცხოურ, ნასესხებ სიტყვათაგან – **ური** და **-ული** ბოლოსართებით ზედსართავი სახელების წარმოებასაც. მაგალითები მოგვაქვს ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან – **ქეოლ** (1998) და ტექნიკური ტერმინოლოგიიდან (1982).

მაგალითად, თუ სწორი ფორმებია: **ჰიდროფილური, ჰიდროფობური, ტრანსგენური, კანცეროგენური**, რატომ არის **ჰეტეროგენული** და არა **ჰეტეროგენური**? **ასტრონომიული** და არა **ასტრონომიური**? მაგრამ **გასტრონომიური** და არა **გასტრონომიული**? რატომ მიიჩნევა სწორ ფორმებად **მიკროსკოპიული** და **მიკროსკოპული**? და არა **მიკროსკოპიური** და **მიკროსკოპური**. ამ ანალოგიით უნდა იყოს **ქრომოსომული**, მაგრამ არის (და მართებულად) **ქრომოსომური**.

რატომ არის ორთოგრაფიულში **ჰიგროსკოპიული** და არ არის **ჰიგროსკოპური**? არის **ჰიპერტონიული** – უნდა იყოს **ჰიპერტონიური** ისე, როგორც **ჰიპოტონიური**. ამავე ლექსიკონში ასევე არის **ჰიპერემიული** – უნდა იყოს **ჰიპერემიური**. სიტყვა მომდინარეობს ძვ. ბერძნულიდან **ჰიპერ + ემია** (სისხლი).

ქართულ ენაში უნდა დავიცვათ წესი: თუ სიტყვა რთულია (შედგენილია), ანუ კომპოზიტია და, ვთქვათ, შედგება ორი ფუძისაგან, რომელთაგან პირველი შეიცავს **რაე**-ს, მეორე კი – არა, მაგალითად, **ასტრო-ნომია**, **გასტრო-ნომია**, **კანცერო-გენი**, **მიკრო-სკოპია**, **რიბო-სომა**, **ქრომო-სომა**, **ჰიგრო-სკოპია**, **ჰიპერ-ემია**, ზედსართავი სახელი უნდა იწარმოებოდეს – **ური** ფორმით: **ასტრონომიური, გასტრონომიური, კანცეროგენური, მიკროსკოპიური, რიბოსომური, ქრომოსომური, ჰიგროსკოპური, ჰიპერემიური**.

თუ სიტყვა ორფუძიანია, სადაც მეორე ფუძე შეიცავს **რაე**-ს (პირველი ფუძე შეიძლება შეიცავდეს ან არ შეიცავდეს **რაე**-ს) ზედსართავი სახელი უნდა იწარმოებოდეს – **ული** ფორმით. მაგალითად, **ჰეტერო-კარიოტი** – **ჰეტეროკარიოტული**, **ჰეტერო-ტროპი** – **ჰეტეროტროპული**, **ჰეტერო-ტროფი** – **ჰეტეროტროფული** და ა.შ.

ვფიქრობთ, იგივე წესი უნდა გავრცელდეს სამ – და მეტფუძიან კომპოზიტებზეც. მაგალითად, **პირუვატ-დე-ჰიდრო-გენაზა** – **პირუვატდეჰიდროგენაზური** და არა **პირუვატდეჰიდროგენაზული**. დაბოლოება **-ული** თუ **-ური** უნდა განისაზღვროს კომპოზიტის ბოლო ფუძეში **რაე**-ს არსებობა-არარსებობით.

ცხადია, შესაძლებელია, მაგრამ არასასურველია, გამოწკრიპების დაშვებაც – კეთილხმოვანების, ტრადიციულობისა თუ სხვა რეალურ მიზეზთა გამო.

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში არის **დიფუზური**, მაგრამ გვაქვს **სენსაციური**, **დისპერსიული** და **ფუნქციური**. ბუნებრივია, ისმის კითხვა – რატომ იწარმოება იური//იულით ყველა ია-ზე დამთავრებული უცხო ტერმინი? რატომ გვაქვს **ადაპტერული**, **ადაპტორული**, როდესაც ამ ზედსართავების საწყის ფორმას ინგლისურად წარმოადგენს ზმნა **adapt-** შეგუება? სწორ ფორმად, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ **ადაპტური**. რატომ ვაწარმოებთ ზედსართავ სახელს არა პირდაპირ **ადაპტ-**ისგან, არამედ ნაწარმოები სიტყვებისგან **adapter** ან **adaptor**? მსგავსი მაგალითები ბევრი დაიმეზნება სპეციალურ ლიტერატურაში, მაგალითად, ბიოქიმიასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში. **Crick adaptor hypothesis** ითარგმნება, არა როგორც კრიკის ადაპტური ჰიპოთეზა, არამედ კრიკის ადაპტორული ჰიპოთეზა.

ოქსფორდის ბიოქიმიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ლექსიკონში **ადაპტორული მოლეკულა** განიმარტება, როგორც ტ-რნმ-ის მოლეკულა, რომელიც იკავშირებს და მიაქვს ამინომჟავა რიბოსომაზე ინფორმაციული რნმ-ის „ბრძანების“ შესაბამისად.

გვინდა შევეხოთ ასევე სიტყვების, **ეფექტიანისა** და **ეფექტურის**, გამიჯვნის საკითხსაც. ამ უკანასკნელ ხანს დამკვიდრდა **ეფექტურობის** ნაცვლად **ეფექტიანი**. **ეფექტიანი** ითქმება კაცზე, რომელიც გამოირჩევა თავისი საქმიანობის ეფექტურობით. **ქველში** კი ვკითხულობთ: **ეფექტური 2**. ეფექტის მომცემი, ეფექტის მქონე, – ქმედითი. **ეფექტური ზომები** მიიღეს. **ეფექტიანი** (წიგნ.) იგივეა, რაც ეფექტური (მნიშვ. 2).

ამგვარად, **ეფექტიანი** ახასიათებს კაცს – დარდიანის, სევდიანის, უნარიანის ანალოგიით; ხოლო **ეფექტური** – ადამიანის საქმიანობის, მოღვაწეობის წარმატებულ, ანუ საგრძნობი შედეგის (ეფექტის) მომტან მოქმედებას.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

არაბული, 2004 – ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, 2004.

ინგლისური ლექსიკონი, 1998-1999 – Oxford Advanced Learner's Dictionary.

ლექსიკონი, 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

მათემატიკური ლექსიკონი, 2010 – გიორგი ჭოდოშვილი; გივი თევზაძე; გურამ სულხანიშვილი; რამაზ აბდულაევი; ომარ მაგნიძე, ადა მიჩიტაშვილი, რუსულ-ქართულ მათემატიკური ლექსიკონი .

მახვილაძე, 2008 – ნოდარ მახვილაძე, მათემატიკური ენციკლოპედიური ლექსიკონი.

მახვილაძე, 2012 – ნოდარ მახვილაძე, მათემატიკური ენციკლოპედია მოსწავლეთათვის.

ორთოგრაფიული, 1998 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (მეორე შევსებული გამოცემა), თბილისი.

ოჟეგოვი, 1964 – С. И. Ожегов, Словарь русского языка, Москва.

ოჟეგოვი, შვედოვა, 2004 – Ожегов, Шведова, Толковый словарь русского языка, Москва.

ტექნიკური, 1982 – ტექნიკური ტერმინოლოგია, ქართულ-რუსული ნაწილი, რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით.

ცნობარი, 2009 – ნიკოლოზ ნუცუბიძე, ომარ მაგნიძე, შალვა კირთაძე, მათემატიკურ ცნობარი, ქუთაისი.

ჭავჭავაძე, 1941 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 2, თბილისი.

Guram Tkemaladze

About Spelling, Pronunciation and Semantic Accordance of General Georgian and Foreign Terms

The article discusses the problems of spelling, pronunciation and accordance of meaning of general Georgian and foreign terms by using materials from different dictionaries. The author considers some words confirmed by various academic dictionaries as unacceptable and offers his outlook on the problem.

The article is published in order to raise a question for discussion.